


58
1916/3

1916



თეატრი სსრუბა

ბათუმის სალიტერატურო ქორნალი

№ 28 — 1916
ბათუმი, 10 მაისი

წამ. მთ. 10
გამოცემის
წ ა ს ი
12 კაპ



გიორგი ბერიძე

ბათუმის სალიტერატურო ქორნალი



მორიგი მეთაური „ცხოვრების გამოძახილი“ ვერ იბეჭდება.

კ უ ზ ი

ვთი საწყალს და ბნელ მხარეს, სად ძმა ძმაზე ლესავს კბილებს, სად ძველ-ბილში გაჯდომიანთ კუპის მრწამსი თვით ემაწვილებს!
გრ ვოლსკი.

ეს ძალიან სამწუხარო ამბავია ჩვენებურ ხელოვანის ცხოვრებდან ამოღებული.

სამწუხარო და ძველი.

სამოკდა ექვსი წლისა მინც იქმნება.

გვულისხმობ გ. ერისთავის პირველ „ცისკარს“ და მისსავე ქართულ წარმოდგენას.

იქიდან აქამომდე მწერალს არ შეუძლიან მწერლობით იცხოვროს, მსახიობსაც... ჰო, არა! ზოგჯერ ნახევარი წლის სიცოცხლის უფლება ეძლევა...

მხატვრების და მოქანდაკეების ამბავი ხომ ჯერ არც-კი დაწერილა.

ეს მეტად ახლი, კახტა და ეთეროვანი ლემგანდა.

მეშინიან ამ ციწარტყელის!

ამ გვარად ჯერ აქამომდე ვერ შექმნილა ისეთი ღონე ჩვენის ცხოვრებისა, რომ ხელოვანი თავის თავს არ გაუბოძდეს.

ერთ დროს პეტრე უმიკაშვილი სწერდა: სირცხვილია ქართველმა ხელოვანმა გასამრჯელო აიღოსო. დაახლოვებით ასეთი იყო მისი აზრი.

და აკი ირცხვენდნენ კიდევ და კანტიკუნტად, სხვათაშორის, შემოპქონდათ თავიანთი წვლილი.

თუმცა ბევრი გაიქცა, ბევრი...

ახლაც გარბიან.

მაგრამ ჩემს ფაქტით ახლანდელი გაქცევა არა გავს ძველებურს.

დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ვითარება მინც მეტს ძღვრავს ნივთიერად ე. ი. თავის ორიოდ მუშაკს ვინაჩროლიო მინც ინახავს და... წინეთ-კი ასე არ იყო.

უთუოდ ამან გამოიწვია „ეთატი და ცხოვრების“ № 28 მეთაური.

მართალია ის მოსაზრებაც, რომ სილაჩრეა ადამიანს გმირობა მოსთხოვო.

მაგრამ...

დიდი მაგარია აქ!

რა გვინახავს, რა გვისწავლია, ვინავართ, მაგ. მსახიობები?

გმირობას კი არავენა თხოულობს, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ რომ აგვისნან, ვიგულისხმობთ. . . ზოგი რამ შეეფენათ და მოვიწონათ.

შეიძლება ყველაზე ეს არ ითქმოდეს, მაგრამ უმრავლესობაზე... სათქველია.

როგორ იტყვიან ახლა?—**გათვითცნობიერება** საჭირო, თორემ ისე მართალი ხართ.

მეორე თაობა მსახიობთა ვერ არის ისე მტკიცე თავის მოწოდებისადმი, როგორც მირველი იყო.

მეორეებს ცოტა რამ მსხვერპლის მოტანაც გვეძნელება.

აქოდა ჯამაგირი დამაკლებო, თითქო ხარისხით ჩამოგვეციდებო, —ამასც ვეღარ ვითმენთ.

ვინ ამბობს? დღესაც გროში ეძლევა ქართველ მსახიობს. ცხოვრება-კი როგორ გაძნელდა, ვინ არ უწყის? უბრალო ვადამწერლებს, კონდუქტორებსა და სხვა მძალ მოხელეებსაც-კი მოუმატეს ცხოვრების სასარი. მხოლოდ მსახიობთა შორის საჩვევლესად მიჩნეულთაც 200 მ.—მდე თუ ეძლევათ, ამ თანხასაც ძლივს მიადწივს. ეს მართალია, მაგრამ. . .

პირველმა თაობამ **სიმშვილის** გამოკირვებაც იცოდა. რა საქაროა დასახელება. მთელი ქართველობა ამის მოწვევა.

ჩვენ-კი თუ ცოტა გავგიჟირდა, გავრბივართ სცენიდან და სხვა ხელობას ვკიდებთ ხელს არ მოგვშვიდებო!

მართალია ბევრს ჩვენთაგანს ოჯახი ჰყავს შვილები, იმათ რა დააშვეს, პაწიებმა.

დიდი ტრაგედიაა, მაგრამ გული არ მიომენს არა ვთქვა: საყვარელ საქმეს თუ დიდ მსხვერპლს არ მოვუტან, მაშ ის არც საყვარელი ყოფილა.

მე მგონია, რომ დარაჯი სადარაჯოზე უნდა მოკედეს. ექიმმა ექიმობაში უნდა დალიოს სული, მწერალს სიკვდილმა წერის



მსახიობი ალ. ალექსიძე (ქურდოვანიძე)

გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო.

იმათვის მართლაც ძნელი იყო გაპროფესიონალიება. ჩვენი თეატრი შედარებით ამდენს არ იძლეოდა.

ახლა-კი, მაღლობა ღმერთს, 50 მ. ჯამაგირი სულ მცირედ ითვლება ჩვენს სცენაზე, მაშასადამე, ვინაირობით, მაგრამ გაძღვება შეიძლება.

და პატარა მსხვერპლის მოტანა, მე გვონი, შინაობაში შემოძლიან თამამად მოვითხოვო.

თორემ საქმე თუ ასე წავიდა, მართლაც ჩვენი თეატრის ბედი დიდათ დამაფიქრებელი შეიქნება.

არა, მე მწამს მომავალი, მწამს ჩვენჩხალხის ნიკი, მწამს მისი ღონე. უთუოდ ერთ დროს ჩვენ ვერც-კი წარმოვიდგენთ, ისეთ მოვლავარე, სხოსან ტაძარს შექმნის სამშობლო კუთხე, მაგრამ ეს ყოველი ხომ ხელახლა დასაფუძნებელი, ხელახლა წარმოშობაში შეიქნება.

რათა, რათა?

თბილისზე ამოზენ—თეატრი აღარა გვაქვსო. დიდათ სავალალო მოვლენაა, მაგრამ მარტო კიდვლებზე როდია საქმე.

ცოცხალი ძალაა შემქმნელი საქმისა. დღეს ეს ცოცხალი ძალა იზნევა, იქსაქსება.

კუქი გაახსენდა!

და იმის მაგივრად, რომ გზათ და ხიდათ გასდებოდა მშვენიერ წარსულსა და საუკეთესო მომავალს, ახლავ უნდა ჩაიტეხოს, ჩაიტეკება და ჩაიშალოს.

მოვალეობა უნდა გვახსოვდეს, საქმე უნდა გვიყვარდეს, ჩვენ ეს მსახიობებს. და მაშინ თვით ხალხიც მეტი გულმოდგინებით შეგვიწყობს ხელს, ეს იმდენ ღონეს კდევ მოიკრეფს, რომ თანდათანობით თავისი კულტურული მუშაყნი უზარუნველ ჰყოს.

თვით ჩვენ არ უნდა ჩავანგლოთ ცეცხლი ჩვენს სამსხვერპლოზე, თორემ სამსხვერპლოც შეიძლება მივიწყებულ იქმნას და შეიძლება მრავალ ჟამთ შეზდგ უკეთესი სამხვერპლოც აგებულ იქმნას და ცეცხლიც უფრო ძლიერ გაჩაღდეს, მაგრამ მერე ჩვენ რა? მერე ჩვენ რა?

მ.შ. კერძოთა ჩვენ მსახიობებმა მოვიკრი-

დროს უნდა გააგდებინოს კალამი ხელიდან, მსახიობიც, თუნდა გრემის კეთების დროს, თუნდაც სადმე პროვინციის დაჩხარულ საპირფარეოში უნდა მიიკვალოს.

ამას აქვს მაღლი, ამას ახლავს თავის საამაყო ღირსება.

და სწორედ ეს უნდა კარგათ შევიგნოთ მსახიობებმა.

„ვი საწყალს და ბნელს მხარეს!..
სად ძვალ-რბილში ვაჯდომიათ
კუქის მრწამსი...“

არაფერი მაღალი კუქის ყურის გდებიო არ გაკეთებულა.

და არასოდეს არ უნდა განვიშოროთ ფიქრიდან, რომ არა მხოლოდ ერთითა ჰუერთითა ცხოვრდების კაცია.

შორს არ არის წასვლა საქირო. მსახიობთა პირველმა თაობამ ნათლად გვიჩვენა მაგალითი. ყველა მათგანს კარგად ვიცით, რომ შეეძლო პირადი ბედნიერება უფრო მაგარ მკვიდრ საფუძველზე აეგო.

ვასო აბაშიძეს, სხვა არა იყოს-რა, მასწავლებლის პენსია მაინც ექმნებოდა დამსახურებული, გუნია ხომ, რა ვიცი,—მომიტეოს!—შეიძლება გუბერნატორიც ყოფილიყო ახლა. ლაღო მესხ-შვილი? განა შეიძლება იმისთანა დიდი ნიჭის პატრონს მოხელეობაშიაც არა ეჩინა თავი?..

ეს არ არის მთლად ხუმრობა!
მე არას ვამბობ იმათზე, ვინც პირველ



ხანებშივე ჩამოეცალნენ სცენას და სამსახურს მიაშურე..

შოკირიფიქოთ ღონე, ჩაუკვირდეთ ჩვენს მოკალეობას და აზრათაც ნულაგავიტარებო, რომ, მსახაობობას ვაქეთ ბუზგალტერის ადგილი მიჩვენია, რადგან იქ მეტა იძლევიანო.

ახლა საპირადო რეპლიკა № 22 მეთაურს.

შალა დადიანიც მხოლოდ პრაგინციას გადაჰყავდა შემთხვევით წარმოღვენებზე დახურდავდაო.

მგონი ასეა ნათქვამი. ზეპირად ვიკანებ.

ჯერ ერთი მადლობა დახურდავ ბისათვის, ეს მოფერებაა, რომელიც არა მწყინს.

მეორე კი საყვედური პრაგინციის გადაყოლისათვის. მეთაურსაც უთოდ კარგად ესმის, რომ პრაგინციის სამსახური, თუ კი ეს ჩემ-მიერ შესაძლებელია, გასამხნევებელიც-კი არის, რადგან დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ პრაგინციის კიდევ უფრო სწყურია საკუთარი, ერთგული თეატრი; ის ხარბად ეწაფება უკეთეს სადმე ისეთი წყარო გამოჩნდება და ამას ვინც შეგვძლებთ, უთოდ უნდა შევეშველოთ.

აი კიდევ სად მტკიცდება ის აზრი, რომ საქმე კედლები კი არ არის, არამედ ცოცხალი, შემოქმედია და მმოძრავი ძალა.

გადავიკითხე ეს წერილი და შემდეგ ნაღვლიანს გამეცინა.

— ჰხედავთ თვით მსახიობი რას ამბობს!.. საქმის გულისათვის დასჯერდით ცოტას და ნუ ცდილობთ, რომ ნივთიერადაც ცხოვრება გაიმუჯრობესოთა!

ჰმ.—აჰის მეტი რა გვსმენია ჩვენს მონატრებრენიერო დაწესებულებათაგან გარიგების დროს:

— თქვენ უნდა დასთმოთ; რადგან საქმე თხოულობს ამასო

მეგრამ განა მეც ამ ფარისველურ შირმას ვეფარები?..

მე მინდა მსახიობმა ნივთიერადაც თავისი ღირსება არ დაჰკაროს, მეგრამ ამ ნივთიერებას-კი არ გადაჰყვეს.

ერთის სიტყვით რაღად წუნდა ახსნა მას, რაც ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. დაწვავთ წერტკლები..

სიყვარული და ერთგულებს

ბულგარული ლეგენდა

ის იყო ბრძენი მოხუცი... ყოველი ადამიანი მისთან მილიოდა და დარიგებას ითხოვდა...

ერთხელ, როდესაც მოხუცი თავის სენაკში მარტო იყო, მისცივდენ სიყვარლისგან მოტყუებულნი და ჩოჩქოლი ასტებეს:

— მოხუცი, — ქვითინით ეკითხებოდა ერთი: ნუ თუ ქვეყნად ერთგულება არ სუფევს?.. ნუ თუ არ არის ერთგულება, რომელიც ყველაზე ძვირფასია... ძვირფასია თვით სიცოცხლესზედაც-კი... მოხუცი, გვითხარი, გვასწავლე ჩვენ უვიცებს... ნუ თუ ერთგულება, ერთგულება...

და ქვითინით დაცა მიწაზე...

მოხუცი ღრმით დაფიქრდა. მოკრძალებით გადაშალა სიკვდალ-სიგატსჯას წიგნი და აღვლებით ამოიკითხა შემდეგი:

„არის ქვეყნად სიყვარული, მაგრამ არ არის ერთგულება...“

ერთგულია ძალი ადამიანისა, სანამ უკანასკნელი საზრდოს არ მოაკლებს მას...

ერთგულია ცოლი ქმრისა, სანამ პირველს სხვა არ შეიყვარებს მეორეზე უფრო...

ერთგულია შვილი მამისა, სანამ პირველი არ დავაჟაკდება და თითონ გახდება მამა“.

მოხუცმა კითხვა გაათავა, სასოებით დახურა „სიკვდილ სიცოცხლის“ წიგნი და დაიწყო:

ციგა და უდაბნო ქვეყანაში, სადაც მზის ნაცვლად ყინული ანათებს, სცხოვრობდა ერთი ყმაწვილი...ის იყო ბუნებით დაჯილდოებული და უყვარდა მამა ისე, როგორც არავის სხვისა...

ღმერთს უნდოდა გამოეცადა ყმაწვილი, მოიხმო ეშმაკები და უთხრა: ცოდვილ მიწაზე, სადაც ღლე ღამ შეუმჩნევლათ დაეხეტებთ და მართალთ აცდუნებთ, სადაც სიკვდილსა და სიცოცხლეს გაცხარებულნი ბრძოლა აქვთ ადამიანთა ცხოვრებაზე, სადაც გააფთრებულნი, უკუღმართი ტაღლები ცხოვრებისა ათასობით ახარობს ადამიანთა, აი იქ, ერთი ქეთილმორწმუნე ადამიანი; მოხუცია იგი და

Handwritten signature



დადლილია სული მისი... მას ჰყავს ერთგული შვილი, რომელსაც შთაენერგა სიყვარული, ერთგულება და ყოველივე ის, რაც საჭიროა ადამიანისთვის... კმარა მისთვის სიცოცხლე... თავისი მოვალეობა მან უკვე შესრულა.. მიფრინდით მასთან და ამოხადეთ სული.

საზარლად შეჭკვილეს ეშმაკებმა და გახარებულნი დაემყენ დედაპიწაზე.

II

მწუხარედ ქვითინებდა შვილი მამის საფლავზე... რძედი დაჰკარგოდა... გააფთრებული და გაგიჟებული ჰკოცნიდა მამის ვაცივებულ გვამს...

მას ვერ წარმოედგინა, თუ ოდესმე მოხდებოდა ასეთი უბედურება და სწყევლიდა გაჩენის დღეს...

და დასწყევლა მან ცხოვრება, რომელიც იმ წამს უდაბნოდ ჰოგჩენია...

დიღანს, დიღანს დასტიროდა შვილი მამის ვაცივებულ გვამს და სიკვდილს ჰგმობდა:

— ღმერთო, ღმერთო, — ქვითინით ამბობდა ის: მე, მარტო მე მიმიძღვის დანაშაული მამის სიკვდილში... მე არ ვუყავი მისი ერთგული, თორემ შავი ანგელოსები ვერ წამართმევდენ მას...

უფალო, თუ-კი გესმის ჩემი თხოვნა, მომიტევე... და თუ ყოვლად შემძლე ხარ, დაუბრუნე მას ისევე სიცოცხლე... მის მკვდარ სხეულს კვლავ შთაბერე უკვდავი სული... უფალო... მე მარტო ვარ... მარტოდ მარტო... მისი სიკვდილით ყველაფერი დეკარგე... უფალო... მისმინე...

III

ღმერთს შეებრალა ყმაწვილი, დაუძახა თეთრ ანგელოსებს და უბრძანა:

— ერთგულნო ანგელოსნო, ჩაფრინდით ცოდვილ მიწაზე, მონახეთ უსულო გვამი ყმაწვილის მამის... ჩაბერეთ მას სული ცხოველი და განუბრძეთ ვაწვადებული ცხოვრება... მას უტდის მწუხარება... აეხილება თვალები ყმაწველს და მიხედება, რომ შავი ანგელოსები მხოლოდ მაშინ ართმევენ ადამიანს სულს, როდესაც უკანასკნელმა შესრულა ყოველი-

ვე ის, რაც მის ბედს წინაშე ეწერა.

IV

ყმაწვილის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... იგი მთლად გამოკვლილიყო, ტკბილად ეკვროდა მამას გულში და მხურვალედ უეკონიდა თეთრ წვერს...

— ჩემო მამა, ჩემო საყვარელო მამა! — გრძნობით ამბობდა და მაგრა ეხვეოდა კისერზე... ხომ აღარ მოკვდები, ხოპ აღარ მომცილდები, ძვირფასო მამა...

— სულ შენთან ვიქნება... სულ შენთან... — ჩემო ერთგულო, საყვარელო, შვილო!... ღმერთმა ისმინა შენი ვედრება და გამაცოცხლა მისთვის, რომ გამოცადოს ერთგულება შენი... მე ვიცოცხლებ მანამდი, სანამ შენ ჩემი ერთგული იქნები...

და თუ მიღადატე, მაშინ მოკვდები და არასოდეს არ გავცოცხლდები...

— არა, არა, მამა... როგორ გიღალატებ... ჩემო მამა... ჩემო ძვირფასო... აღეღებთ იმეორება ყმაწვილი და გულში ეყვროდა...

V

ზამთრის საღამო იყო... მოწმენდილი ცა მოქედილი ვარსკვლავებით ამაყათ დაჰყურებდა დაბლა მიწას... კამკამა მთვარე ამაყად მისრი აღებდა, ირგვლივ სიჩუმე იყო, თითქო, მძლავრ ყინვას ყველაფერი გაექვ ვებია. პატარა ოთახში მოქანცული მოხუცი ლოგინზე იწვა და ტკბილ ძილს მისცემოდა.

ყმაწვილი-კი, ახლა საკმაოდ დავაჟკეკებული, იქვე იჯდა, გაკვირვებით დასტკეროდა მძინარე მამას და ფიქრობდა:

— როგორ გვავარ მას... იქნებ მისი სხეულიც ოდესმე ჩემს სხეულსავით საესერყო...

ახლა-კი მხოლოდ უსიცოცხლო აჩრდილია დარჩენილი... ეს რტომაა, რომ მან ყოველივე მე გადმოკოა... მე ვიზრდებოდი, ეს კი სუსტებოდა... და ახლა-კი თითქმის არაფერი დარჩენილა მასში...

ყველაფერი ჩემზე გადმოვიდა...

მე უნდა ვიცოცხლო და ავასრულო ბრძანება ღვთისა...:

ძველი ან კვდება, არამედ მას სტვდის ახალი, უფრო სადი და მშვენიერი...



უცნობმა გრძობამ გაიღვიძა ყმაწვილის გულში...

მან იგრძნო რალაც ცვლილება...

იღუმალმა აზრმა გაურბინა თავში და სისხლი აუღულა...

გახსენდა თავისი სატრფო... გიჟივით წამოხტა... მწუხარებით მიმოიხედა ირგვლივ უგულოდ მოავლო თვალი მძინარე მამას, უნებურად აკოცა და გარედ გამოვარდა...

„არის ქვეყნად სიყვარული და არ არის ერთგულება“.

ადამიანის ერთგული მხოლოდ სიკვდილია, რომელიც არაოდეს არ იცოცხებს მას და მუდამ მზათაა ხელი გაუწოდოს ცხოვრებაში მოტყუებულს...

ლ. ძიძიგური

ჩვენი მოღვაწენი

შიო ჩიბაძე (1874-1906) ერთი იმ მოღვაწეთაგანი იყო, რომელთა ცხოვრების მიზანი ერისა და ქვეყნის უანგარო სამსახურია. სამწუხაროდ უბედურმა შემთხვევამ თუ განზრახ ბოროტ-მოქმედებამ აღჩე ჩაუჭრა სიცოცხლე და მით ჩვენს აღორძინება-წინსვლის საქმეს ერთი თავგამოდებული, მხნე მუშაკთაგანი მოაკლო.

შიო გორელი ღარიბი ხელოსნის შვილი იყო, თავის მეცადინეობით უმაღლეს სასწავლებელს უწია, სასწავლებლის საუცხოოდ დამთავრების შემდეგ რუსეთშივე დარჩა, სადაც საპატიო სახელი მოაპოვა მასწავლებლობით, საზოგადო მოღვაწეობით და მწერლობითაც. 1904 წ. ქართულ გიმნაზიის გაშვებ მოიწვიეს; აქ მალე საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა სასწავლებლის საქმის რიგთან და ნეზე აყვანით. ამავე დროს იგი მწერლობდა (თანამშრომლობდა ვახ. ფურცა და შრომა-ში ყვევის და სხ. ფურცლიანებთან) და სოციალისტ-ფედერალისტთა მსოფლმხედველობის გავრცელებასა და ამ ჯგუფის ჩამოყალიბებას ძლიერ ხელი შეუწყო.

მაგრამ ხან მოკლე იყო მოღვაწეობა მისი 1906 წ. 4 მკათათვის, სერთო აღრეულობას ქაშას, ქართული გიმნაზიის მახლობელში შენობიდან ყუმბარა ესროლეს თბილი-

სის პოლიციეიტერს მარტინოვს. ამის გამო ალყა შემოარტყეს გიმნაზიის შენობას, გიმნაზიაში საბჭოდ შეკრებოდ მასწავლებელთა უზახები შეუტყვედნენ, ზოგიერთი მათგანი დასტყრეს, ხოლო თვით შიო სასტიკი წამებით მოჰკლეს.

ამ ამბავმა თავზარი დასცა ქართველ საზოგადოებასა და სერთო მწუხარება გამოიწვია. მისმა მეუღლემ ვერ აიტანა და მკირე ხნის შემდეგ თავი მოიწამლა (დარჩათ ორი მკირე წლოვანი ვაჟი). შიოს ცხედარი დაკრძალეს წმ. ნინოს სასაფლაოზე, ხოლო მისი ნამძღვრები ღრმად გულში ჩაიმაზხეს. დღეს, შიოს წამებით ვარდაცვალების ათი წლის თავზე, მოწიწებთა იხსენიებენ და აღთქმას სდებენ არ უღალატონ მისგან დასახულ იდეალებს.

თეოფილე ხუსკივაძე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 35 წელიწადია, რაც ჩვენი ერის წინსვლის საქმეს ემსახურება; მისმა პატივის მცემლებმა 1 მკათათვის ყვირილაში იუბილე გაღუზადეს.

თეოფილე შორაპნელია, იქვე მღვდლის შვილი, დაბ. 1860 წ. 10 იან. სოფ. ვალითში, შორაპნის მხ. ქუთაისის სსსუფ. სასწავ. სწავლის დამთავრებ. შემდეგ გორის საოსტატო სემენარიაში 1881 წ. კურსი დაასრულა და მასწავლებლად გამწესდა ყვირილაში, სადაც 14 წ. იმასწავლებლა, 12 წ. ქუთაისის საოღქო სასამართლოში მსახურებდა, ბოლოს მორიგებებელ შუაკაცად სამეგრელოში.

სცენის სიყვარული მოწაფეობის დროს სვე გამოიჩინა: 1877 წ. გორში ნ. ვაზუნიანის, აღ. თუთაივის, აღ. ნათაძისა და სხ. მონაწილეობით შემდგარ წრეში მონაწილეობდა... (იმელოის როლებს ასრულებდა); ყვირილაში გადასვლისთანავე შეადგინა სცენის რეჟისორთა წრე, მოაწყო სცენა და წარმოადგინების მართვა გააჩაღა *) ქუთაისში სამსახურის დროს

*) ყვირილიდან მის გადასვლის შემდეგ აქ მკირა ხანს კიდევ იმ-ათებოდა წარმოდგენები. მალე საქმე ჩაიფუშა და მხოლოდ თეოფილისევე ნაშეგარდლებზე ვანო არდიშვილმა (აწ განსვენებული), მიხ. გ. ჩხილაძე, კემ, აღ. არაბიძემ და სხვ. ააშენეს თეატრი და საქმეზე მკვიდრ ნიადაგზე დაყენეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მეს თეატრი რევოლუციის დროს ცეცხლმა იმსხვერპლა ავტრ



ტორიულ და პედაგოგიურ წერილებს, საბავშვო მოთხრობებს და სხ. ყოველი მისი ნაწერი მამულიწველიურ-საზოგადოებრივ მისწრაფებითაა მოსლო.

სთარგმნა პიესები — „ერანნი“, ვ. ჰიუგოსი, „განწირული“ მისივე, „მამა“ სტრ. ნდებერგისა, „საღიეეთში“ დასწერა; „დიდი როსტომ ერისთავი“, დრაბა და „ზამბასტოვაკა“, ვოლ. ცალკე გამ-ცემულია: „თხზულებანი“, ქუთ. 1892 წ. სათეტრო საქმებს დიდ ყურადღებას აქცევდა, 1904-1905 წ. ხშირად სწერდა რეცენზიებს და დრამატ. საზოგ. ქუთ. განყოფილებაშიაც მონაწილეობდა.

მწერლობა დაიწყო 1881 წ. სწერდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში მოთხრობებს, ის-

2) „ეკატერინე ბატონიშვილი“, 1895 წ. მ) „რევენ ბატონიშვილი“, ისტორ. მოთხრ., 1903 წ. სთარგმნა მალოს საყმაწ. მოთხრ. „უსახლ — კარა“, 1904 წ. „მათიკო და მისი გიშეა“, შვედ. ზღაპ. 1903 წ. მის ნაწერათა მეტი წილი ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული.

მასწავლებლობით და სწავლად მუშაობდა კიდევ უფრო საყურადღებოა თეოფილეს მოღვაწეობა; თავის მოწაფეთაგან არა ერთი და ორი სასარგებლო წერილი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას, რომლებიც დღესაც სამშობლოს სამწერლო, სასცენო თუ სალიტერატურო ასპარეზზე მხნედ მუშაობენ.

უსურვებთ ჩვენს მწერალ მოღვაწეს დღე გრძელდებოდეს და მხნეობას ჩვენის ხალხს სსიკეთოდ.

მ. დელიაშვილი

გზაზე (გაგრძელება) იხ. „თ და ც.“ № 27

ოქრო. გამდლობთ, კარგადა ვარ, ერთი მანდ რო (ანაშენს) გაზეთები აწყვიტა მომავლოდღე, დიდი ხანია აღარ ვადამითვილიერებია! **ნინო.** კენიანამ ბრძანა, ნულარ მისცემ, გაზეთის კითხვით ძალიან სუსტდება...

ოქრო. მომავლოდღე! **ნინო.** (მოუტანს) აი, ინებეთ, წამოიხსით მიინც. არ ვანიცდეთ! (შადს წამოასხავს და შერე ასევე თავის ადგილზე დაუდებს)

ოქრო. (ხელ-ნელა დაიწეებს გასეთის თვალიერებას. ცოტა ხნის შემდეგ რადანს დააკვირდება, ხარბად დაიწეებს კითხვას, აღუდებს კიდევ; ეტუება რადან ამბავს დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ზუსტად. შემდეგ დაიწეებს ხმა მადლს კითხვას. ტუჩებზე დამილი მოუყვა), „ამ საი დღის წინად თბილისში ჩამოვიდა საზღვარ გარედ მყოფი ჩვენი ნიკიერი სახელ-განთქმრლი მხატვარი ქალი, ქეთევან დიდებაშვილისა; ჩაიხსნა ორიანტის სასტუმროში თავის ქმარშვილით. ერთი თავის შემდეგ თავის სოფლისკენ წავა“. (დამიდათ, სოფლსკედახანად) მთსული! (სახესზე სისარული და ნაღველი, მკუშვარება ესტება) „ქეთინო ქმარშვილით! ოჰ, რა საგრძნობია ეს უკანასკნელი სტუციები! ბედნიერო ქმნილებავ! შენ მოსულხარ რათა შორიდან მაგრძნობინო შენი დი-

რსება, შენი მშვენიერება და მოთხრა: იმეყურე, საბრალოდ, და დარტანჯე ჩემი ბედნიერებითაო!..

II

მაკინე და ოქრო

მაკინე. (შეშვავს. სამკლავიანო შავები ატყვია. ეტუება სადღაც უოფიდა. მუტად გასწავრა, სრულიად გაბოფვლიდა, შკანდ გაბეშებას წაუშრთშევა; სიდაშაზე, სიმშვენიერე თითქმის დაბერებულს კადეც)

ოქრო. სად იყავ, მაკო? **მაკ.** ეტიმან, მგრამ შინ არ დამიხვდა. კიდევ მომიხლება წასვლა. მამატიე, შენი ქირიე, რომ მარტო დავტოვე. **ოქრო.** არა უშავს რა. ახალი ამბავი არა გაგიგია რა?

მაკ. რა, გენაცვალე? **ოქრო.** ის მოსულა! **მაკინე.** (გაფიბრდება) ვინ ის? **ოქრო** ქეთინო, ჩვენი მხატვარი ქალი! არ წაიკითხე გაზეთში?

მაკინე. (აღუდგებულად) ოქრო, გენაცვალე, მითხარი, გინდა იმისი ნახვა? **ოქრო.** მაკო, მამატიე... გულსა სწყურიათ, თუმცა გონება ეურჩება... **მაკ.** ქეთინოს ნახვა? **ოქრო.** ჰო, მაკო, მისი ნახვა ისე მინდა,



მეკლე ჯაბადარი ანა

თუ ჩვენს სამუსიკო ასპარეზზე—უცხოეთშიაც საპატიო სახელს იტყვს. იგი შეიღობა ჩვენში ცნობილ გამომცემელ მოღვაწის აღექვანდრე ჯაბადარისა. ერეკლე ჯერ კიდევ ბავშვში წავიდა ევროპას (ანუ ემადლოზანაშია), სადაც მუსიკალურ განათლებად განათარებებს ბეჯითად შეუდგა, და მესხეთე წელიწადია სამუსიკო ასპარეზზე მოღვაწეობს.

ამ ემად დაუწერია ახალი სამი დიდ მოქმედებანი ოპერა საქართველოს ცხოვრებიდან, სახელია „გულნარა“. ოპერაში უმათავრება ორი ძლიერი მოქმედი პირი—ქართველი ქალი გულნარა—მომავალ დემოკრატიულ საქართველოს და მშვიდობიანობის გა-

რჩეობა, ლევანი საქართველოს წარსულის რაინდობის გამოხატველი. მუღლენი ჯაბადარი ოპერას თურქე გერმანულად სთარგმნემდე მაჯიარულად ფიქრობ. ვაილიონ. მცოდნე პირთა მოწმობით ეს ნაწარმოები ფრიადსაყურადღებოა, ქართველ ხალხის მუსიკალური სულით გაღვინდებული, კლასიკური მუსიკისკანონთა თანახმად შედგენილი; უსახარისისა გამო ჯერ კიდევ გამოუცემელია. უცხოეთისა გაზეთები და ცნობილი პირნი ხელერთპირად აღნიშნენ ერეკლე ჯაბადარის მაღალნიჭიერებას, მუსიკალურ კულტურას, დიდ ცოდნას. ე-

ვუსურვებთ ჩვენს თანამემამულეს, სრლს გამარჯვებას: სამშობლო მუსიკის აღორძინებასა და მსოფლიო მუსიკაში ღირსეული ადგილის მოპოებას.

იოსებ არიმათიელი

როგორც სიზნესლისაგან სულმოხილ ქვეყანას ენატრება მზის სხივი: იმან სიცოცხლე მომიშნა, მაინც ვგრძნობ, რომ ჩემი სიცოცხლე და აგრეთვე სიკვდილიც...

მაც. რახან აგრეა, მას ნახავ! (შუბალზე აკოფებს ოქროს)

ოქრო. მერე როგორა, მაცო? ის ხომ ბედნიერია! ხომ კმაყოფილია და მოხარული თავის ქმარშვილითა? მან არც კი იცის, თუ სადმე მყარებულ ქალაქის კუთხეში სულ-შეხუთულ ოთახში სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ებძვის მისი მოთავსანე!

მაც. (სხეული ემანჭვის, თუმცა არაფერს იმჩნევს) იქნება ქეთინოც შენსავით იტანჯება ოქრო? იქნება მასაც ახსოვბარ, იქნება ისიც... ისიც ნაწარმ თავის საქციელს და წინანდებურად უყვარბარ კიდევ?

ოქრო. (თვალები გაუკანაგრად მის სიტყვებზე) ჰა? რა სთქვი, მაცო! „იქნება მას ისევ უყვარბარო“? ისევ ვუყვარვა? მერე რითი დაამტკიცა თე სი სიყვარული? მასში შებრალებაც არა ყოფილა... გნა მოსაყვარულე გული მოითქენდა ამ ექვსი წლის განმავლობაში ერთხელ შორიდან მაინც არ დამნახვლდა? შენ კი ამბობ იქნება უყვარბარო? (შაუხა) ან კი რაში უნდა ვყვარებოდი? ჩვენ შორის საერთო არა აღმოჩნდარა, თუმცა ის ხანა, რაც მას ვუყვარდი, ვერტფოდი, ჩემი

თავი დამეყენებინა იმ სიმღლეზე, რა სიმღლიდანაც ის გაღმოიყურებოდა, ის სიმღლე იყო წუთიერი, მოჩვენება, ლანდი, ვაკჭრა და ისევ წყვილიადმი დაჯრჩი! ციური მშვენება, გაფრინდა ისევ ზეცაში. იშვიათმა ქეშმარიტმა ღირსებამ ჩვეულებრივ სიკვდილის შეილთან აღარდაეყნა... (ახეჯებს) დაკარგულმა ნეტარებულ, ხალხის უმადურობამ ძირს დამსცა, მაღალ აზრების, შრომისაკენ შემფრინავი სიცოცხლით აღსავსე ვაკაკი და ზედ მეტად მაიანად გარდამაქცია! რავდენი დამე გამიტარებია იმ ოცნებით, თუ ბოროტებას როგორ შევქიდებოდი მას, ხელში ვივდებდი, გველსავით გავსრესავდი! მძაღლა ტრაბახი, ბაქიაობა, დღეს კი მისი ადგილი მე დავიჭირე, რის ღირსი ვარ? რასაკვირველია, დამცირებინესა, ძრახვისა და შეჩვენებისა... მამული, როგორ, მელიც მსახვდა საქართველოს შვილად, დამეკარგა, ხელიდან გამომეცალა! სიყვარული, რომელიც ჩემში განამტკიცებდა აღფროვანებულ ხელ-შეუხებელ გრძობა-სიყვარულსა, ნაწარმ წამერთვა; სმაგიეროდ გულში დამიტოვა სასისმალა! ქეთინო? ჩვენი ქვეყნის სიქადული ქეთინო კი პირდაპირ თვალეში უყურებს ყველა თანამემამულეს და ეუბნება: მე ვარ შენი ძალა, მე ვარ შენი შევენებაო... მაშ ქეთინოს რად ვყვარებოდი და ან მეტადრე ახლა რა ღად ვყვარებდი, მაცო?



პაპუასის ქელი

დაფიქრებულა კაკეასის ქელი,
დაფიქრებულა ვით ლეონიძე:
იქნებ არ მოსწონს ქართველთა ბედი,
იქნებ არ მოსწონს ივერთა სიძე...
არ ვიცი, არა! მაგრამ ვიცი რომ
მთანო მყინვარნი აღმასდებიან:
რომ ვერ დაადნო მათი გული ღრომ
და ახალ ღმერთებს ელოდებიან!..

სიმ. წიველი

სიზმარი სანგრებში

(მოთხრობა)

(გაგრძელება. იხ „თ და ც.“ № 27)
ციციის ერთ-ერთ ლაზარეთში მორიგედ
ვიყავი, რომ დაქირლების ერთი უგულლონი“
მოიყვანეს. დაქირლები ვაგონებიდან საკაცე-
ებით გადმოჰქონდათ და ერთ ოთახში იატა-
კზე მწკრივად აწვენდნ დაქირლებსა. მათს
ვინაობას, პოლკს და სხ. ვიწერდი და გამე-
ხარდა, როდესაც იმოდენა დაქირლებში ქარ-
თველიც აღმოჩნდა.
— გამარჯვება! — გამოგვხაურე დაქირ-
ლსა.

გაკვირვებულმა თვალები დააქყიტა და მომაშტერა. ძალიან გაუჭყირდა ქართული

მაც. (აუწყრელი ტანჯვა გამოკახატება სხვ
ზე ებრძვის თავის თავს) ოქრო, შენი ქირიმი,
აგ ფიქრებს-თავი დაანებე! რაზედ იმკირებ
თავსა, შენ წმიდა ხარ, ჩემო კარგო, ყოვე-
ლივე ეგ, რაც ახლა შენ წარმოსთქვი, არ
ეკუთვნის, რადგან არა ხარ დამნაშავე.

ოქრო. არა, მაცო, მე კარგად და ნათ-
ლად ვგრძნობ ჩემს დანაშაულს. (მაჟუსა)

მაც. გენაცვალე, ოქრო, კიდევ უნდა
დაგტოვო ცოტა-ხანი მარტო ექითან მივალ,
რომ არ გამისწროს. უნდა შევტყუბინო შე-
ნი ცვლილება და მოვიყვან კიდევ

ოქრო. კარგი. წადი.

მაც. ნინო, აქ იყავ, არ მოშორდე ოქ-
როს, ყური უზღდე, მეც ცხლავე დამბრუნდები.
(გადას)

ოქრო. (ფიქრი წაიდებს. მაჟუსა) საბრალო
დამ! შენი სიყვარული საფლავშიც ჩამყ-
ვება... არამც თუ სიყვარული, შენი დარდიც
თან გამყვება. (შეიშინებს მისი ძმა ტიტეო.)

III

ტიტიკო და ოქრო

ოქრო. (სხველავს, შეიშინებს წამოიწვეს უნ-
და ნახველი ამოიდას)

ტიტიკ. (შეიშინებს) დიდა, ოქრო, მე მო-
გაწენდი, (შეიშინებს და წაიწვეს ტასტს)
როგორ ხარ, ჩემო ძმაო?

ოქრო. მაცო ხომ მარტო ხარ? ღვთის

გულისათვის, თავი დაანებე!...

ტიტიკო. ოქრო, აბა მალა აიღე თავი,
შემომხედე ვინა ვარ!

ოქრო. (შეიშინებს და რამ იცნობს შე-
სხატებს) ტიტეო, შენა ხარ? (ერთმანეთს გა-
დაუხვევან) როდის მოხვედი?

ტიტიკო. ეს არის ახლა, ჩემო ძვირფასო,
როგორ ავიღე მარტოც დარჩენილხარ?

ოქრო. განა ღირსი არა ვარ სრულიად
თავდანებვისაც? შენა? განა მამატიე ჩემი შე-
ცდომა? აკო, ტიტეო, შენი ძმა აღარავარ,
აღარც მეზობელი... ჩემს სამაგიეროდ ვილაღ
უცხოელი დაგისახლე... და შეიძლება ჩემგვარ
ხალხის წყალობით გავიმრავლდნ იმისთა-
ნა მეზობლები, და თქვენ კი ფეხის მოსაკიდი
ნიდადი აღარ დაგრჩეთ! და ამისთანა შემცო-
დესთან როგორ მოხვედი?

ტიტიკ. რა დროს მავაზე ლაპარაკია?! კა-
რგა იყავ, იცოცხლე და ყველფერი შენ გე-
ნაცვალოს. რაც იყო — წავიდა, ჩემო კარგო.

ოქრო. მაშ ჩემ შეტოდების მამატიე?

ტიტიკ. ვაპატიებ, ოლონი... დამშვიდდი
(გული ამოუჯდება და სლუჟ-სლუჟებს) კარგა გა-
ხლი მალე... წამოდი... განომ დამაბარა, ამ
ორ დღეში უსათუოდ უნდა ამოიყვანოვო...
თუმცა შენი მამული ვაიყიდა, მაგრამ სამაგი-
ეროდ ჩემი იქ დაგხვდება, შეიბრუნევე, როგორ
ც ვინდოდეს, რაც აზრში მოგივიდეს შეას-
რულე, ჩემო ძვირფასო!



რომ გაიგონა. ბოლოს გამოირკვა და „გაგი-
მარჯოსო“ მითხრა.

— როგორ მოვიფიქრებდი, რომ აქ
ქართველი ვინმე იქნებოდა. იქ „პოპოხიზაზე“
იშვიათად თუ ვნახავდი ვისმეს და აქ თუ
შემხვდებოდა ქართველი, არ ვიცოდი,— დარ-
ცხენიტი გამოემოლაპარაკა.

— სახელი შენი, ვკითხვე.

— თელა, მარინაშვილი გვარად.

— გადავწერ ყველასა და ისევ მოვალ
შენთან, — უთხარი და გადაწერა დეანქარე.

დაქრილებს მსახურებმა სისხლსა და ტა-
ლახში მოსვრილი, მწერებთი სახეც ტანსაცმე-
ლი გახადეს და აბანოში შეიყვანეს ტა-
ნის დასაბანად; შემდეგ ქრილობები შეუხვი-
ეს ექიმმა და მოწყალების დებმა და აპალა-

ტებში“ მოათავეს. საბრალოებს ცალკე კრი-
ლობა და ცალკე დალილობა აწუხებდათ—
მთელი ოთხი დღე „რახ-რახა“ ბარგის ვაგო-
ნით მოდიოდნენ; ახლა კი ცოტას მოისვენ-
ებდნენ საბრალონი!

მეორე დღეს თელა ვინახულე. მიწრო.
ჩემი დანახვა გაეხარა.

— როგორა ხარ; დავეკითხე.

— ფეხი მაწუხებს, და არ მიძინია,—
შემომჩვილა.

— არა ვიშავს-რა, მალე მორჩები,—
ვანუგეშე— ქართული კითხვა ხომ იცი?

აი ქართული გაზეთები და წიგნები მო-
გიტანე, როცა მოგეწყინოს, წაიკითხე.

თელას ძალიან გაუკვირდა. როგორ, მის
სოფელში, საქართველოში ქართული წიგნი

ოქრო. გმადლ ბთ ძმო, მაგ თანაგრძნო-
ბისათვის... მაკინეს თავს ვერ დავანებებ...
ცოდაო, ნახე რა რიგად იტანჯება და წვე-
ლობს! ახლა მაინც შეურიგდა, ჯავრად ნუ ჩა-
მაყოლებ საფლავეში..

ტიტ. ოქრო, პატიოსნებას გეფიცები,
რომ მე მას შეურიგდები, ოღონდ შენ კა-
რგად გახდი, კმაყოფილი იყავ და იცოცხლე.

ოქრო. გმადლობ დიდად.

ტიტ. ოღონდ შენ მალე ადექი, რომ
წავიყვანო შინისკენ. იმდენი მამული მაქვს,
იმდენი მოვლა და ყურის გდება უნდა, რომ
მე სად შემიძლიან. წამო, მომეშველე შენ ერთი
ორად წინ წასწეე ჩემს საქმეს. მაკინეც ჩე-
მთან წამოვადეს. რა ვუყოთ, რაც იყო ჩვენ
შორის უნდა დავეიწყო! იმანაც დიდი და-
რდი გამოიარა: გაღარიბება, ქმრის უმცარი
სიკვდილი, ახლა შენი ავადყოფობა? უნდა
გაპატიო, მოვალე ვარ, როგორც ძმა! მაგ-
რამ ყველაზე უფრო შენი მოვალე ვარ, ძვი-
რფასო! ცოტა უკეთესობას დაატყობ თუ არა
შენს თავს, მაშინვე გავწიოთ ჩვენი სოფლის-
კენ. იმისი ჰაერი მალე დაგიბრუნებს ჯან-
ლონეს, გაგამაგრებს, კვლავ ღონე მო-
გემატება, გამოკეთდები! ისევ ის ოქრო იქ-
ნები!

ოქრო. (სეგდიანად) ვეღარ, ტიტოკო,

ვეღარ! შენი ოქრო დამარხულია, მორჩა, გა-
ჰქრა ჩემი ოცნება, გასწყდა ჩემი სიცოცხლის
ძაფი! ცხოვრების ბორბალი გადატრიალდა,
ვარდ-ყვავილით მოფენილი ბილიკი სამოთხი-
სა, რომელზედაც დავიარებოდი, სადღაც მი-
მემალი! მაგენ ბოროტმა სულმა ხელი მკრა
და სწორე გზიდან უფსკრულში ჩამიძახა!
(შეშობად მსახე ტიტოკოს რომ დაინახეს, შე-
კრთება)

VI

ოქრო, ტიტოკო და მაკინე.

მაკ. (შეშობილად)

ოქრო. მაკო, საცოდავო! ცულათა ვარ,
მაზიარე. (სეგელა აუყარდა)

მაკინე (სახე დაუმასჭება)

ოქრო. მაკო, ამისრულე თხოვნა, შეუ-
რიგდი, ვინც შენ წინა სდგას!

მაკინე (სწრაფად მიხედავს ტიტოკოს. გა-
ექანება და უეღზე მოუხვევს) მაპატიე ძმო,
შეიბრალებ ცოდვილი მაკო, შენი უზღუდური
და! (ქეითინებს)

ტიტ. (ტრიალით) მიპატიებია!...

მაკ. ოქრო! წელან, რომ თავი დაგანე-
ბე, იცი ვისთან ვიყავი.

ოქრო. ექიმთან.

მაკ. არა. ექიმთან ახლა ვიყავ, წელან კი
ქეთინოსთან! შინ არ დამიხვდა და წერილი
დავუტოვე.

(დასასრული იქნება)



რომლის კითხვა ძალიან უყვარდა. იშვიათი მოვლენა იყო და აქ, რუსეთში განა მოიძებნება სადმე?!

მე აუხსენი აქ ქართველი სტუდენტები ბლომად მეთქი და მათ მოსდით საქართველოდან.

— უბი, მე მეგონა ამ ქალაქში ჩემს მეტი ქართველი არაინ იქნება მეთქი და უყურე შენა: ქართული წიგნებიც კი ჰქონიათ, — უკვირდა კიდევ თედოსა.

— როგორ მოგეწონა გაზეთი და წიგნი? — დავეკითხე თედოს ერთ დღესა.

— გაზეთისა ბევრი ვერ გავიგე, წიგნიც კი კარგი იყო ჩვენებური სოფლელი ბიჭის ამბავი იყო ნაამბობი.

— ცოტა ხანს გაიშუბა და მერმე დამეკითხა: — ერთი ამიხსენი, შენი ქირიმე, საიღ: ნაგაგო ამ წიგნის: დამწერმა ჩვენებური ამბავი თუ ჩვენებური არ არის? მაგრამ ვინ არი ჩვენ სოფელში რომ ესე ლამაზად დასწეროს? საშინელი ცნობის მოყვარე იყო თედო; ბევრ რამეს მეკითხებოდა და მეც ვცდილობდი მდაბიურად ამხსნა მისთვის ყველაფერი.

— ეს ოხერი ცოდნა რა კარგია! — ნაღვლიანად იტყოდა.

— მართლა, სულ მინდა გეკითხო და მეიწყებოდა: შენ რა ხელობისა ხარ?

— მე სტუდენტი ვარ, ექიმობასა ვსწავლობ აქა.

ამიერიდან უფრო დიდის პატივისცემით მეპყრობოდა თედო და ყოველთვის „დოხტორს“ მეძახდა.

ასე სამ თვეს ყოველთვის ენახულობდი თედოს. ჩემი ნახვა, წიგნების კითხვა ძალიან უხაროდა, მაგრამ გაუძირველად წოლა მეტად მოჰბერდა. ჰეარზე გაიწევდა მიი ნორჩი სული, მაგრამ სიარული არ შეეძლო. მეზეთე თვეზე რჩენაში შევიდა და ყვარჯნებით სიარულს ახერხებდა. ზამთარი იყო, მისი გარედ გამოსვლა არ შეიძლებოდა. იძულებული იყო ოთახებსა და „კარიდორში“ ესეარნა; ესეც არ აკმაყოფილებდა თედოს: „ხოზიცებზე“ წასვლა მოეწონებოდა, შემდეგ ნატურა სურვილად გადაეცა და მოლოდინში იყო, მოვრჩები და წავალ საომრად. ძველი ამხანაგების ნახვა სწყურდა.

სრული ექვსი თვე შეუსრულდა თედოს, რაც ლხარეთში იმყოფებოდა, ფეხი კარგა მოურჩა. ამიტომ ისევე „ხოზიცებზე“ გასწერეს.

თედო სიხარულით დაუბრუნდა თავის როტას, მაგრამ რა იწუხა, როცა მისი ძველი საუკეთესო ამხანაგები ზოგი მოკლული იყო, ზოგი დაკრილი და ტყვედ წაყვანილი; მათ მაგიერ ახლეთ შევესოთ როტა.

(დასასრული იქნება)

მირ. ხარხელი

წერილები მეგობართან

ქართველ მუსულმანების შესახებ

რაც მსოფლიო ომი დაიწყო, ქართველ მუსულმანებსაც დაებადათ წყურვილი ომის ამბების შეტყობისა. მათ შორის განდა ქართული გაზეთების მკითხველთა ჯგუფი. ქართულმა გაზეთმა გზა გაიკვლია სამაჰმადიანო საქართველოში, მოაპოვა თანაგრძობა, რაც მოწმობს ქართველ მუსულმანების გამოფხიზლებას.

აქაურ ქართველ მუსულმანებს ჩვეულებად აქვსთ გაზეთის დაკეცვა იმ სახით, რომ სახელი გაზეთისა გამოჩნდეს. ჩაირკობს ყაბალახში, რომელსაც არც სიცხეში და არც სიცივეში იგი თავითამ არ იშორებს ბრუნდება სახლში მატარებლით, ცხენით, ან ფეხით, ბრუნდება და თან მიაქვს ყაბალახში ჩარკობილი საყვარელი გაზეთი. უფრო ეინტერესება ის გაზეთი, რომელშიც რაიმე სწერია იმის ქვეყნის შესახებ ძალიან პატივს სცემენ გაზეთი „საქართველო“-ს და „სახალხო“-ს, რადგან მათში ხშირად სწერია წერილები აქარის შესახებ. მოგვისმენია მათი საუბარიც ქართულ გაზეთების მიმართულებით სხვადასხვაობის შესახებ. ერთმა მოხუცმა სთქვა გულახდილიად:

— ამაგი მე არ მესმის: აო ვიცი რაია წოწილისტი, პედერალისტი, დემოკრატი. მე ბატონო, მომეცი ქართული გაზეთი, რომ შევიტყო, იქ რა სწერია, ისეთი, რომელშიც მთელი ქვეყნის ამბების გარდა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი საგაზრდლოს ამბებიცაა...

ამას ამბობდა, როგორც ვსთქვი, ერთი



მოხუცი ჩვენი თანამოდმე რკინის გზის ოთახში, და იმავე დროს ქართული გაზეთი ჩარკობილი ჰქონდა ყაბალახში.

ახალგაზრდები ხარხარებდნენ.

— ოსმან! მე ვიყიდე „საქართველო“, ხასანმა „სახალხ გაზეთი“, შენ „აზრი“ იყიდე; და სამივე წავიკითხოთ.

მართლაც სამი ერთი სოფლის ქარ-

თველი მუსულმანი სხვადსხვა ქართულ გაზეთით ჩაქვისკენ მიემგზავრებოდა, ისე კი რომ ყაბალახში ჩარკობილ გაზეთების სახელები ნათლად მოსჩანდა. ქეშმარიტად შეუძლია აქაურმა ქართველმა მუსულმანმა სთქვას: „მე ვარ და ჩემი ყაბალახი გამთენებელი ლამისა“

შენი ჩაქუჩი.

მე ლტოლვა მინდა..

წუხელ მთელ ღამით ქარიშხალი რისხვით დაჰქროდა, მთა-ბარს და სახლებს აწყდებოდა ველურ ქვითინით, ხანაც მძლავრ ფრთებით დედამიწის მკერდს გაეცვროდა, ლეწოდა ყველაფერს ალტყენილი ნგრევისა ენით..

ჰა, ჩემს ოთახის კარს მოაწყდა, უცებ გაჰლუნა, სწრაფლ გააარღვია, შემოიჭრა და დაიგმინა, რალაცა სძებნა; ყველაფერი ვადმოაბრუნა, და გაჰჭრა საღლაც, ვერსად ჰპოვა ლტოლვილმა ბინა..

ვერ დავიძინე: ქარის ფრთებმა ამაცახცახა, ვით აღუანდრა, ვით მიმოზას უსუსური რტო, და რალაცა ხმამ, იღუმალმა ყურში ჩამძახა: „ამ ქარიშხალთან შენს სულს ბევრი რამ აქვს საერთო,

შენი სულიც ხომ ლტოლვილია, როგორც დემონი: დროსა და სივრცის ზღვაში დაჰქრისვით ქარიშხალი, ვინ უწყს რავდენი დაანგრია კერპთა ბომონი, ღმერთი ხომ მაინც ვერ იხილა, ვერ მოჰკრა თვალი;

ვინ იცის რავდენ საიდუმლოს შეულო კარი, ყოფნის აზრისთვის ნათელი რომ გარს მოეფინა, როგორც დემონი, მაინც დარჩა მიუსაფარი, ვით ქარიშხალმა ვერსად ჰპოვა სავანე, ბინაა..

მიყუჩდა.. და მე ხმას იღუმალს ასე შევსძახე: თუ ქარიშხალი მოიმწყვდევს, ვსთქვათ, ჰპოვა ბინა, ხომ დაედგმა მის მძლავრსა ფრთებს ბორკილი, მახე, ხომ ვერ იჭროლებს, ხომ მოკვდება, ხომ მიიძინა!..

არა, ეს არ მსურს! დე, ვერ ვპოვ ვერსად ღმერთი, რო და არც იმას ვეძებ, სული თუ ვერ დანადგურებს,— მე ლტოლვა მინდა, ლტოლვა მძლავრი, ქარიშხალივით, მცის მ:ცოცხლებს, და თვით იგი გამანადგურებს..

ი. სიხარულიძე



მკზაერის წერილები

(ექსკურსია მცხეთას)

სხვა საქართველო საღ არის;
რომელი კუთხე ქვეყნისა*...

გრ. ორბელიანი.

გვირას, 12 თბათვეს, ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების თაოსნობით და ისტორიკოსის მისე ჯანაშვილის სეკონდინგენტობით შესდგა ზირველი ექსკურსია ამ საზოგადოების მისეუას.

ტყვემკზაერეთ დიდის მატარებელით. დღევანდელი მთაწკალიერეთ ოქციონდ დიდებული ჩვენი დედაქალაქი. სადკურთღან ცოთ მიმავლებმა; სხვათა შორის, ვინახულებთ: ძველი ნაშთი ხიდის; ეგრედ წოდებული ზმამკრძის ხიდი; არსენის სოფლები, ნაშთები ძველი სუდრების ანტიოქიის, ბეთლემის და სხე.

მცხეთა უწინ რა ფრად დიდი ქალაქი იყო ეს. იქიდანაჲ სწახს, როგორც ბ. მ. ჯანაშვილმა აგვისსხა; რომ იგი რავდენიმე უბნად უთფილბ დაწაწილებული: მისს დასავლეთს უბნს ერქვას კოდმანი, ჩრდილოეთისს—ქინძარა, აღმოსავლეთისს—წიწამურა, ბორცვი (ბორცვის ჯვარი შედგებში) და კარსნი ანუ კარსანი, სამხრეთისს—არმ. სი და ციხე დიდია.

შერე მთწაწიბთა და კრძაღეთთა შეუღებით დიდებულ სვეტიცხოვლის ტაძრის დათვალიერებას. დღეშივე კედლებზე დაჩჩინაჲ რავდენიმე ისტორიული ზირის სხე: ვახტანგ კორკასლანისს, ამ ტაძრის ზირველი აღმშენებლის, რომელსაც კათალიკოსი სამყოფ კვირგვიან ატავს (ზოგის თქმით ერეკლე მეორე უნდა იყოს), მარამ დელოფლისს, როსტომ მეფის ცოლისს, რომელმაც ტაძრის გუმბათი განახლბ და მისი შუადის ოტა'ი (ზოგნი ფიქრობენ ლუარსაბი უნდა იყოს); ბ. მ. ჯანაშვილი ზირველ აზრს ატავს).

სანტრეკისა სხანახეს წარმოადგენს ატრედვე ვეჯალზე შესანიშნავი მხატვრობა სამხრეთის კედლებზე—გრცელი სვერო ზოდალქანების ნიშნებით: სურათი წარმოადგენს მსოფლიო ცხოვრებას 188 და 150 ფსალმუნის ჭანკზე: აქებდეს ეოველი სული უფალსა... და სხე.

ანტრეკისს მოკლებული არ არის ატრედვე

კა. რომელიც იმყოფება ამავე ტაძარში, საკურთხეველის ტვერდით—აღმოსავლეთით; ვაკემით მისი წყალი, ცივი ანკარა და საწაწირო გემოსი; ეტყობა უწინ, შათი ომინანბის დროს სარკვობდენ. როცა აქაურობს უკვირდებით, ნოლად აზნვეთ, რომ ამ ტაძრს მხრუნველი და საყვარელი ხელი აქლბ, რც ჩვენი უკულტურობათა და დევერობით ახსნება! აქ კინახვებენ: ვახტანგ კორკასლანი, დეუთ დაშს-ძე, დიმიტრი თავდადებული, დამა ლუარსაბ, მეფე ალექსანდრე, ერეკლე დიდი, კიორკი XII, მისი ცოლი მარამ დელოფალი, მეღქმეველი კათალიკოსი, ანტონ ზირველი და სხ.

დავითავლიერეთ გარე ტაძრის ჩუქრთმეობიც. შემდეგ ვინახულებთ სამთავროს ტაძარს (დედათა მონასტერი), რომელიც ატრეკნობით, მინობით და ჩუქრთმეობითა ძლიერა ჭკავს სვეტიცხოველსა აქ არის მონასტრის ჯედათა სასწავლებელი. ამ ტაძარშივე მარხინ ზირველ ქრისტიანი მეფე-დელოფალი მირიანი და ნანა. აქვე არის ზატრას ეკლესია, საცა წმ. ნინოს ბინა სავლიცველი—მეფელოფანი იყო. სამთავრო და სვეტიცხოველი რავდენჯერმე შეიშურს: მტრმა სოლო უკანასკნელად განადგურა ლახ-თემურმა; ოთხჯე განახლბ მეფე ალექსანდრემ შე-15 საუე დასაწე მასსადაშე სუფ ხეთთ საუკუნეს რც ახლანდელი ტაძრები არსებობენ. ვინახულებთ თვისი დიადობით შემანიშნავი ბულტის, ანუ ბუბრის ციხე, მცხეთის ჩრდილოეთით ერთი ეკრისის მინდოზე მდებარე აქედან ორველი მთისხილავი სურათები იშლება და მცხეთაც თვალწარმტარ სხანახობს წარმოადგენს თვისი რემარეთი. დიდი ილია შემდეგე სიტყვებით შესტრფელბ ამ მიდაშის.

ჩვენი მამულიის ლიდებ ძველი მყის წინდრ თელ-წინ აპყავებულუა; მიყვარხარ მისთვის რომე ქართველი აქ შენს კიღებზე დობადებულა“.

ამავე ციხის ახლოს არის დართისკარის ხევი. უწინდელ ქართული დედის დასახსიათებლად მ. ჯანაშვილმა აქ ერთი ისტორიული ამბავი გადმოგვცა: თურმე 1778 წ ამ ხევის ვაწრობით თბილისისკენ მოემკზაერებოდა ერეკლე მეფის რაღი ქეთევიანი, მეუღლე მეფე გიორგი XII: მდირე რიცხოვანი მსდებოლებითურთ.



კმ დროს უგზავნა თავს დაეცა უფრო მრავალ რიცხოვანი, ქურდულად შემომარული ლეკთა რაზმში; ვინაიდან ქეთევანის ბანაკში არავინ აღმოჩნდა რომ შეთავაზობდა ეკისრნა, თვითონ ქეთევანმა ითავა წინამძღოლობა-სარდლობა და ბრწყინვალედან გამომდინარე ლეკებსე. ეს ამბავი, რასაკვირველია, შამშივე აცნობებს შემეფ ერგალეს, რომელიც დიდის ამბით შეეგება შამშიც დედოფალს, ზარბაზნის სრული და დიდის ზომით მიუძღავს ქალაქში. ნიშნად დიდი სისარულია, ქალაქი განიარღნებულ იქმნა...

ბეღატის ციხის სახალავეს ვინახულიყო ძველისძველი ავღღამა-საფლავები.

კიდევ ბევრი საგულისხმო რამ გავიგეთ მცნეთის შესახებ ბ. მ. ჟანაშვილისაგან, მაგრამ ადგილის სომეხის გამო, იძულებული ვართ ამით დაგვიკეთოილეთ.

წამოსვლისას დაგვთავაზიერეთ სემსატრო-ქერამიკის სკოლა, რომელიც 1912 წ. დაარსებულა სახალხო სამიწიტროს მიერ. სხადან სწავლობს 16 მოწაფე, ზეგანის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის მკვიდრთა შვილი. აქ ბევრი სანატორესო, მრავალნარი ჭურჭელია თინახან გავითებული, ფაქიზად და დამასად გამოყვანილი; ზოგი ერთი მთავანი ოსტატია ათი თუმანი და მეტიც დაფასე; რასაკვირველია; არის იაფ-ფასიანიც

ამ ექსკურსიამ (მონაწილეობდა 60 სულამდე, ორივე სქესისა) ჩინებულად ჩაიარა. დიდათ ნასიამოვნები ექსკურსანტები სხადამონ—დაბინდებისას უკვე სახლში ვიყავით.

ერმოლოზ კახი



დ. ხონის თეატრის საზაფხული სეზონი დაწყო შაბათს, 18 თიბთვეს. ხონის თეატრის არსებობის ათი წლის შესრულების აღსანიშნავად ამ დღეს გამართა სადღესასწაულო წარმოდგენა. დაიდგა დ. ერისთავის პიესა „რამშობლო“ წარმოდგენის დაწყებამდე იღ. რუხაძემ მოკლედ

გაცნო დამწერ საზოგადოებას ხონის თეატრის მოკლე ისტორია. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენაში მონაწილეობდენ აქმონაწილეები მისხიობნი მ. შიფანია, თ. დოღობერიძე და ნემო, ად. უღანბეგაშვილი, ა. მიურუსიძე და ადგილობრივი სტენის მოყვარნი.

ვერას, 19 თიბთვეს, გამართა მეორე წარმოდგენა. წარმოდგენილ იქმნა: „სთფლის ექიმი“ დრ. 2 მოქ თარ. შვერდისა და „სამართლე“, ვოდ. 1 მოქ. თარ. შ. ქორკელისა.

შაბათს, 25 თიბთვეს, ადგ. დრამ. დასმა მესამე წარმოდგენა გამართა. წარმოდგენის კომ. რუნდ ცინახას, ველარ ხახავ მონაწილეობდენ ქჩნი მ. შიფანია, თ. დოღობერიძე, ბ-ნნი მ. ნემო, ა უღანბეგაშვილი. წარმოდგენამ საუცხოვოდ ჩაიარა ეტუობოდა. მისხიობნი და სტენის მოყვარნი, ვასსკუთრებით დ. შებეგე და რ. წიფიკაძე, სეროტულად მოკიდებოდენ თავიანთ როლებს. ხალხი ბლომად დაესწრო და დიდათ ნასიამოვნებიც დაიშალა. 25 თიბთვეს წარმოდგენის დრ. ფრანკულიდან ნათარგმნი: „სოდესთანა“. წარმოდგენამ ვერ დასტოვა მოსალოდნელი შთაბეჭდილება: სხვათა შორის როლების უცოდინარობით მოისუსტებდენ. ამ გარემოებას სტეირთა რეჟისორმა ჟუროვანა უფრადგება მიაქვლით, დაიბოლოს წარმოდგენის ვოდ. ექიმის ჭობორარი“. ხალხი, როგორც წინა წარმოდგენებზე, ამასაც ბევრი დაესწრო.

გ ხონელი.

დ. სურამის საზოგ. საკრ. საზაფხული სტენახე შალვა დადიანმა წარმოდგენა მატარა მართები თრ მოქმ. პიესა ბრანდელისა „სტუმარი“, პიესა უბრალოა, მაგრამ დიდის გულსხმიერობით იქმნა მოსმენილი საზოგადოების მხრივ. რათ უსმენდენ მიუურებლები ასე გულმოდგინდე? იმიტომ რომ დადიანის მიერ პიესა მართლაც გამოყენებული იქმნა ისე, როგორც სჭირთა. წარმოდგენის დაწყების წინ ბ-მა დადიანმა ამ პიესის შესახებ ვრცელი მოხსენება წაკითხა განმარტა პიესა, გაცნო საზოგადოებას ავტორის ვინაობა; იღამარჯა თანამედროვე თჯახზე, დედაკაცის მღვთმრობაზე ამ თჯახში და სხვა მრავალი საგულისხმო რაზრი იყო ნათქვამი როგორც ავტორა დედაკაცსა და თჯახზე, ისე პიესის მხატვრულ მსახზე. ამ განმარტების შემდეგ და



იწყო წარმოდგენა, თვითონ ბ-ნი დაღიანი კაისი რაფა სარულებდა, კაის ცოლისას — ელთ ანდრონიკაშვილი. როდესაც ასრულებდნენ ბუნიკბრძოლას, მოხდენილად სცენა ვაშპაქად იყო მორთულ მიკაშხული, მიუხედავად იმისა რომ პატარა სცენა კარგი იქნება, სურ. დრამ. საზ. ისარგებლოს სასაფეხლოთ აქ ჩამოსული მისხაბებით და წარმოდგენების სამართავად მიიწვიოს; დაღიანი დაინახვებს ყუფას, რომ სურამის პატარა სცენას ედგ (როგორც დრ. საზ. წევრები უწოდებენ) შეიძლება რაციანი წარმოდგენების გამართვა. საზოგადოება მრავალი დაქსნო და სისამაფრებები დაიშალა, რადგანაც სულად განდევნილია ერთად, მან გონიერული სასწრაფო მიიღო. იმედია დაღიანი კვდავტე გავემართავს ამხანაგ სასარგებლო წარმოდგენას რეჟერატ მისსენებებით. სწორედ სსპკავითთა..

მილოზი

სახელმწიფო კლუბი — ეს სიტყვით მისაზიდი დაწესებულება საქმით საყოფარბაზო და ხალხის საყვლეთადი მანკა. აქ საზოგადოებას არავითარი სულიერი საზრდო არ ეძლევა; მიუხედავად იმისა, რომ ლიტონარება და ბუფეტში დაუნდობლად იყვლიდებდა ხალხი კლუბსა და თერაში შესასვლელთა-კი განსაკუთრებული ფასია დაწესებული. ამ გვარად ყველა შემსრულებელი მუშა-ხელოსანი იძულებულია ერთი-ორად იხადოს ფასი, რათა მთელი კვირის შრომისაგან მოქანტულმა მკირე ხნით სუფთა ჰაერი მაინც ისუნთქოს. აქ არც ლექციებს, არც სხვა რამ კულტურულ გსართობს ალაგი არა აქვს, გარდა ორიოდ ქართულ-სომხურ წარმოდგენისა, რომელთა მმართველების უმეტესობა ისეთივე „დახვლოვანებული მსახიობნი“ არიან, როგორც მე ჩინეთის მფეე.

26 თიბთვეს წარმოდგენის ოპერეტა „არშინ მალ ალან“, თათრულიდან ქართულად ნათარგმნი ვ. გიგოშვილის მიერ პიესის შინაარსი საიმისეს არას წარმოდგენს და ზოგიერთი სცენის-მოყვარის მანკვა გრძევა უფრო გარყვნილთა სახლის შესაფერი იყო, ვიდრე ხელოვნების ტაძრისა. პიესის მიმხედვლობა ხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ იქ აზიურ საკრავებს უკრავენ და ზედ ქართულად დამღერიან, მაგრამ ეს ის სიმღერა კი არ არის, ადამიან სმენას და გრძნობას რომ უტკობს. ახამედ ჩვეულებრივ სამიჯტრაში შეკრებილ ლოთეის ღრინაცელი. წარმოდგენაზე დიდ ძალი ხალხი დაქსნო და, ვგონებ, უფრო იმისთვის, რომ წარმოდგენა საბურთალოს სახალხო წარმოდგენის მმართველ წრის სასარგებლოდ იყო და იგივე წრე თაოსნობდა; მაგრამ როგორც შეიკრეთ, „არშინ მალანის“ წრეს საბურთალოს წრისთვის შრომის ფასად 180 მან. გადაუხდებიან. ამ ვაჭარულ ქველ-

მომქმედებით წრემ საიმისო ისარგებლა თუ არა

ალაშაბა უწყის **ალ. ბაგრაშვილი**

ალ. ბაგრაშვილი საკომერტო კლუბში 29 I V-ქ I ე. ა. შერვაშიძის თაოსნობით, ფრანგთა კომპოზიტორი ა. ა. ფერტერის ხელმძღვანელობით გაიმართა სამუსიკო ვო ალური საღამო, რომელშიაც მონაწილეობდნენ ცნობილი პირნი, სხვათაშორის მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე ალ. ოვანეზაშვილი, რომელმაც დამსწრენი აღტაცებ ში მოიყვანა. ამვე ალ. ოვანეზაშვილმა, როგორც აღმოსავლეთის მელოდიების ცნობილმა აღმასრულებელმა“ (ასე აცხადებენ აფიშებში) 23 მაისს მონაწილეობა მიიღო პატრიოტულ კონცერტში და ჭიანჭურზე დაუკრა „პინტელე იული“, ებრაული ოპერიდან. ორივე საღამომ კარგად ჩაიარა და ჩვენი ა. ოვანეზაშვილიც ძლიერ მოეწონათ — **ლი.**

ბ. ბაბიანი სცენია მოყვ. დრამატ. დასმა მართო მდივანის, კავთეოთისა და ბარველის მონაწილეობით 19 თიბ. წარმოდგინა ნ. შიუკაშვილის 4 მოქ. დრ. „სიმინიხე“. საქმის სიყვარულით გადატეხულმა ბათუმის სცენის მოყვარულთა დასმა, როგორც სხვა უფრო რთულ პიესებში, ამაშიაც ფხა გამოიჩინა და პიესა გვარინად ჩაატარა. ბარველი ნამდვილი, რეალური განახლებება იყო საბასი: იგი ამ როლის საუკეთესო აღმასრულებლად უნდა ჩაითვალოს. საუკეთესო იყო ქანი მდივანი (სონა). არა უშავდა ქან კვეთის (დაიჯვანი) თუმც დარეჯანი მისი შესაფერი არ არის; კარგად შეასრულა ბ. უსტიაშვილმა თომას როლი (მე-3-მე მოქმ. ხომ შეუდარებელი იყო), ბ-ნი ჰუპანიძე (ასო) უკეთესი იქნებოდა, რ-მ სიტყვებმეტად ვარ გაუჭიანურებია; არა უშავდათ-რა ქან ობოლს (დარია), ვადაქკორიას (ილიკო). ფ. ლომინაძეს (მარო) და ბ-ნ გურულს (გიორგი). დანარჩენები ხელს უწყობდნენ. თუმცა ზოგიერთნი როლის უტო. დინარობით მოისუსტებდნენ. წარმოდგენა ღამის 11 ს და 15 წ. ვათავდა, ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

Г. В — схи.

კულინაზი

ჩვენი ზოგიერთ მსახიობის მესხიერება საარაკოა: ერთი და იგივე როლი თექვსმეტჯერ რო მშეასრულოს, სათქმელს მაინც რიგზე ვერ იტყვის.

„ლოტის“ წარმოდგენის დროს სოლოიმანის აღმასრულებელმა მეფური დიალობით გაღმობხედა დარბაზს და იმის მაგიერ რომ პიესაში ნათქვამი „ლ-ფორანში (მამპალიანთა საღმრთო წ-გნია) სწერიო, ეთქვა, წარმოთქვა:

— „ყვავ-ყორანში სწერია, რომ...“ და შემდეგ ისევე განაგრძო, ვითომ და იქ არ ფაფერიო.

ჭიტა!

წ ვ რ ი ლ ი ჰ გ ზ ე ბ ი

◆ **ბალეარინ ბუნია** 35 წ. იუბილე გაიმართება გიორგობისთვის, მისი ცხოვრება-მოღვაწეობის აღმწერად დასახელებული ი. გომაროელი და ა. ჭუბინაძე

◆ **დ. ახალხანაძის** ქართ. დრამ. საზოგადოება საზაფხულო სეზონს დაიწყებს 10 ან 17 მაიათვეს და ამავე დღეს აკურთხებს სათეთატრო დარბაზს. წარმოადგენს მონაწილეობას მიიღებს ვ. გუნია

◆ **ხარზუნის კლუბი** დღეს, 16 მაიათვეს, ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით კონცერტია.

◆ **ახალგაზდა მხანობით** შ. სარაღისა და ი. თარაშვილის თაოსნობით დღეს კოჯორში გაიმართება ქართ. წარმოდგენა „ახირებული“ და „ბაიუფი“

◆ **ახალგაზდა მხანობის** ალექსიძის (ჭერ-ლოვანიძის) გარდაცვალების წლის თავის პანაშვიდი დანიშნულია წასადღისოდ. წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში

◆ **საბავრო სალაგოები** შ. ხერხეულიძის თაოსნობით 28—29 თიბათვეს გაიმართა ჩოხობატურ-ხილისთვეს, 1 მაიათვეს—ამაღლებში.

◆ **მის. სიმონიძე** იოსებ ტულუშის სოცენის პატივსაცემლად „ოფეტრი და ცხოვრება“ გაუწერა ხვარბეთის საზოგადოების კოლაპერატის ხალხში საკითხავად

◆ **ბ. ცანიზის** დრამატული წრე მეჯითად მუშაობს. ახლანან დასდა გულისაშვილის „დრონი მეფობა“

◆ **ბ. საბარაქოში** პეტრე-მედიკოსის 29 თიბათვეს, ადგილობრივმა სცენის მოყვარებებმა წარმოადგინეს „პაროზელი ბიჭი“. საღამოში მონაწილეობა მიიღეს ილ. ქურხულმა და ი. მჭედლიშვილმა. აუარებელი ხალხი დაესწრო,

◆ **დავით გივიშვილი**, მდაბიო ხალხის ცნობილი გოლეკე, გარდიცვალა. დაწვრილებით შემდეგ.

◆ **სახალხო ხალხის** მმართველ კომისიაშთ თავის წარმომდგენელ ბად აა ჩიეს ქართ. დრამ. საზოგადოებამ—გ. მ. ლასხიშვილი, თბ. სახ. უნივერსიტეტმა—ა. ს. პაბაოვი.

◆ **ბ. ბათოშვი** ადგილობრივ ცენის მოყვარეთა წრე : კავთელისა და ი. ჰარველის მონაწილეობით შაბათს, 9 მაიათვეს, წარმოადგენს ი გელდენიშვილის ცვობილ პიესას „გაშეკვი“, კირას 10 მაიათვეს ვ. გუნიას მხიარულ კომედიას „ვანის გაცეარეუვის შევეარე“ მხადღება „მოლიპულ გაზაზე“, „ფედინაცვალი“, „ეზბრლები“, „დამარცხებულნი“.

◆ **ივანო ტიტუნაშვილმა** ჟურ. „ოფეტრი და ცხოვრება“ ქართველ მუსულმანებს გაუწერა თვის ხარჯით.

პ ა უ ს ხ ი

ბ. ცანიზი. გამოგზავ ეთ დაწვრილებ თ ცნობებთ.

ახალი კლუბი 1 კვირის პროგრამა 10-17 ივლისი

- ორშაბათი** — რუსული ოპერეტა
- სამშაბათი** — სიმფონიური კონცერტი
- ოთხშაბათი** — სინემატ სიმფ. ორკესტრი
- ხუთშაბათი** — ქართ. წარმ. (უფას); ორკ., პარაბ. სინემატოგრაფი, სიმფონ. ორკ.
- შაბ.** — სიმფ კონც., სარაჯიშვილ. მონაწ.
- კვირა** — საბავრო ს.ღამო, ორკეს. სინემატ.
- დასაწყისი:** კონცერტობისა სღამ. 9 საათ. წარმოდგენა: სა და სინემატოგრ. სღ. 8 1/2 ს. სემსტრვალში დასი ჩვეულებრივია, მხოლოდ-სამშაბათს და შაბათს იხდიან: მანდილოვნები და ტულენტები (ფორმ.) 6 წ. კამაკაცები 1 05 ა.

ხარზუნის საზოგადოებრივი კლუბი

- (მთილის პროსპექტი, № 131)
- ერთი კვირის პროგრამა 10—17 მაიათვემდე**
- კვირა** — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.
- ორშაბათი** — სინემატოგრაფი; ორკესტრი.
- სამშაბათი** — რუსული ოპერ.; სიმეზიანი ორკ.
- ოთხშაბათი** — ქართული წარმოდგენა; ბალში—ორკესტრი.
- ხუთშაბათი** — საბავრო სღამო 4-9 ს., სინემატოგრაფი; საზანდარი.
- პარასკევი** — ქართული წარმოდგენა „ქრისტინეა; ბალში—დუდუკი.
- შაბათი** — სომხური წარმოდგენა „არში მ ლ აღანა; სიმეზიანი ორკესტრი.
- კვირა** — კონცერტი ვანო სარაჯიშვილის მონაწილეობით; საზანდარი.
- წარმოდგენა-კონცერტებზე** შეხვლა უფასოა

